საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პირველი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ტექსტები წელიწადში სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს. —3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
მისამართი: თბილისი, ს სახლის ქ. № 5. კონტორის ტელეფ. 15—73.

ნულიანადი მეექვსე | სამშაბათი. მარტის 30 1920 წ. № 68 | ფასი 5 მან.

უნუგეშოდ დარჩენილნი დედა—მარიამ გრიგოლის ასული, მეუღლე—ქეთევან ივანეს ასული ჰატარა რუსუდანით, ძმები—რომანი შალვა, ვახტანგი და გიორგი, დები—ბარბარე, ქეთევანი და ქსენია სიმონი შვილები, დედედა—პელაგია გრიგოლის ასული და ბიძა—დეკანოზი იაკობ ტატიშვილები შეუღლით და შვილებითურთ ულრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და თანამოსამსახურეთ, რომ კვირას 28 მარტს ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი საარმიო არტილერიის დივიზიონის ექიმი

იოსებ (სოსო) ალექსანდრეს ძე სიმონიშვილი

პანაშვიდები ყოველ ღამე საღამოს 6 საათზედ სამხედრო ტაძარში, იქვე წირვა და ანდერძი ოთხშაბათს 31 მარტს, წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე. 3031 1—1

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე ნიკოლოზის ასული ნოე ლევანის ძე ჩიგოგიძე შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელი და ძვირფასი ძმის, ცოლის ძმის და ბიძის

ივანე ნიკოლოზის ძის გოგიჭიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ს. ჭალას 28 მარტს. 3030 1—1

სახელმწიფო თეატრი

ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს, სამშაბათს 30 მარტს

აგესალომ და ეთერი

ქართული კლუბი

ოთხშაბათს 31 მარტს 1920 წელს.

რუსულ დრამის „ტარტოს მიერ წარმოდგენილ იქნება.

„მარგარიტა გოტიე"

5 მოქმედ. დიუმასი.

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი.

დასაწყისი ხადამოს 9 საათზე.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით. 2—61—1.



ქიმერიონი

(რუსთაველის პრ., 23,)

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

სადილები

სამშაბათს, მარტის 30 ს

ლიდია ჯონსონის და კონსტანტინე ალპეროვის

უკანასკნელი გამოსათხოვარი საღამო.

ახალი ცეკვა: ფრესკე, **რუსული იუმორესკი** და სხვა.

დ მ ტრი ფესენკოს ბოზ თა ხოროო,

შეუდარებელი ამსრულებელ. სალონის ცეკვათა

ტრუზი და ვალტე

რუდოვსკის მოთხრობანი და სხვ.

ყრილობა 11—1 საათზე.

კვირას 7-ი მარტიდან თბილისში გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი

„სასოფლო გაზეთი"

„**სასოფლო გაზეთს**" აქვს შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მეგობლობა და მეგვენახეობა, მეაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალმკურნალობა, სასოფლო ცხოვრება.

„**სასოფლო გაზეთში**" მონაწილეობს იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამეურნალო და სამეურნეო საკითხებში.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ეზოში № 5, გაზეთ „საქართველოს" მინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 12 მან. თითო ნომერი 3 მან. რედაქტორი **ნიკო კაიშაური** 4—3—17

ციტადელი

მარტის 30-ს

ნაპერწკალი ალი ნაცარი

ცეცხლი

დრამა 4 დიდ ნაწილად. მთავარ როლში

აინა მინიშელლი

და მარიო ფ ბო დასაწყისი 6 ს.

მხოლოდ მოზრდილთათვის

მიხეილის

ალპრე

პლეხანოვის ქ. 91

იზა პრემერისა და ა. ვერტინსკის

ინსცენიროვკა მიდის მხოლოდ სამშაბათს მარტის 30 ს ინსცენიროვკას დაემატება ვერტინსკის სიმღერების ცნობილ შემსრულებელ

ვლადიმერ ვეკოლიერის

გასტროლები.

ანონსი: ოთხშაბათიდან დაიდგმება:

დაცემულს ხელს კარი ვერტინსკის მონაწილეობით.

პირველ-ხარისხოვანი

ციტრა „პრესტენ"

ვერის დალბართზე. ტელ. 5—62.

დღეს, მარტის 30-ს 1920 წ.

გრანდიოზული ბენეფისია პოლონელ მოჭიდავის, მსოფლიო ფალავნის **ალექსანდრე კალ შევიჩის**, რომელიც თავის ბენეფისის დღეს აჩვენებს **კოლოსალურ ძალას** და შეასრულებს თბილისისათვის ძლიერ საინტერესო სრულიად ახალ **ნომერ**-ებს.

1) დღეს კალიშევიჩს კასერზე 30 კაციმოლუნაგს რკინის გზის ლიანდაგს.
2) დღეს კალიშევიჩი დაჭერს ორკესტრს 30 მუსიკოსისაგან, რომელიც ამავე დროს გლადიატორია მაოს შესასრულებს.
3) დღეს კალიშევიჩი შეეჯიბრება 20 ადგილობრივ მოჭიდავეს ისპანიურ ჭიდაობაში.
4) მხოლოდ დღეს, თავის ბენეფისის დღეს კალიშევიჩი გამოდის, როგორც მოქსიორი საქართველოს ულონიერეს მოჭიდავე **სანდრო კანდელაკის** წინააღმდეგ.

ინვალისური ბოქსი **კალიშევიჩი—კანდელაკი.**

1) **კალიშევიჩი—„ნეიზვესტნი".**
2) **ფელიპენკო—მოზინგი.**
3) გადაწყვეტილ შეხვედრა **ჰენჯა ალი—შავი ნილაბი.**

ანონსი: ამ დღეებში ცნობილ თბილელ კინტოს მესტიაშვილის ბენეფისი.

დასაწყისი: 8 ნახ. საათზე. პარადი 10 ნახ. საათზე.

გამგე: **იურიევი.**

პირველხარისხოვანი რესტორანი

„მტკვრის-პირას"

ვორონცოვის ძეგლთან. ტელ. 11 53.

ევროპიული და აზიური კერძები

ადგილობრივი და საზღვარგარეთული **სასმელები** საუკეთესო ფირმებისა და მარკისა.

შეიძლება დაკვეთა ყოველგვარ **ნადივ-ზეიმისა.**

რესტორანთან მოწყობილია საუკეთესო ახლად შეკეთებული მყუდრო

საოჯახო დარბაზები

რესტორანი ღიაა დღის 10 ს. ღამის 2 საათამდე.

3004 10—2 **პატივისცემით დირექცია.**

გ თოვი და მოკავშირენი

„ყოველივე გაუგებრობის თავიდან აცილებლად, უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა ბათომს დროებითი ნეიტრალიზაცია უყოს და ამის გარშემო მცირე ზონა შეიქმნას"—ასე განმარტა უმაღლეს საბჭოს დადგენილება, სფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ბ-ნმა დე-მარტელმა.

„მე არ ვხედავ საბაბს უკმაყოფილებისათვის ქართველი ერის მხრით ასეთი გადაწყვეტილებისათვის რომელიც პირ იქით, მოხარული უნდა იქნეს, რომ ბათომი ისევის წარმატებაში იქნება და საქართველო უშუალოთ დაუახლოვდება ევროპას"—ბრძანა ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა მისტერ. ოლ. ჯორდროპმა.

ეს აზრი იმ ორი დიდ სახელმწიფოს წარმომადგენელთა, რომელნიც განსაკუთრებით სწყვეტენ მსოფლიოს ბედს დღეს და ბათომის საკითხის გარდაწყვეტაში, რასაკვირველია უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ!

მისტერ უორდროპი თავის განცხადებაში ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ტერმინს „პორტ-ფრანკოს", როგორადაც მოხსენებულია დღეს ბათომი, მხოლოდ „ფისკალური" და არა საჭირო—პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს"—ბ-ნი უორდროპი ამ მხრით საკითხით მართალია და ჩვენ გვგონია, რომ საქართველოს პოლიტიკურ წრეებშიც ეს ტერმინი სწორედ ასე აქვთ გაგებული და ასეთივე განმარტებას აძლევს მას საერთაშორისო უფლებაც, მაგრამ იმ მდგომარეობაში, რომელიც შექმნილია დღეს ბათომსა და ბათომის ოლქში, არის ერთი გარემოება, რომელიც სამწუხაროდ მოკავშირეთა, ჩანს რომ ვერ გაუგიათ:

თუ ჩვენ ამდენი ხანი ვითმინეთ ის უსამართლობა, რომელიც ბათომის საკითხის გარშემო შეიქმნა და მწვავე ლოდინში ყოფნას განვაგრძობდით, ჩვენ შეგვეძლო დროებით ეხლაც შევრიგებოდით ანტანტის ჯარების ყოფნას ბათომში, რადგან ისინი ჩვენს მოკავშირეებად მიგვაჩნია და ჩვენი ინტერესები ანტანტის ინტერესებს დაუკავშირეთ, მით უმეტეს, რომ თვით ანტანტის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა სიტყვით—„საბოლოო გარდაწყვეტილება ამ საკითხისა შემდეგისათვის უნდა იქნეს") მაგრამ მაშინ, როდესაც ბათომი სამი მოკავშირე სახელმწიფოს ოკუპაციის საგნად არის გამოცხადებული, საქართველოს ინტერესები ბათომსა და მთელს ოლქში, არაფც თუ მცირეოდენად დაცული არ არის, არამედ სასტიკად ილახება კიდეც, და მოკავშირეთა თვალწინ საოცარი კამპანია არის გამართული საქართველოს წინააღმდეგ.

არავის არ შეუძლია უარყოს, რომ ბათომის ოლქში, სხვა სახელმწიფოთა აგენტები დათარეშობენ და ხალხს ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ—ამის საბუთები მრავლადაა და საკმაოდ გაშუქებულია ჩვენს მიერ მოკავშირეთა წარმომადგენლობის წინაშე.

მართალია ბ-ნი უორდროპი აცხადებს, რომ „პრესსის ცნობები, აზერბაიჯან-სომხეთის წარმომადგენელთა მუშაობის შესახებ ბათომის ოლქში, ჩვენს კანონიერ ინტერესების წინააღმდეგ სიცრუეა", მაგრამ ჩვენ გვაქვს საბუთები დოკუმენტალურად ბრიტანეთის პატივცემულ წარმომადგენელს რომ, მას ან საკმაო ინფორმაცია არ აქვს ამ მუშაობის შესახებ, ან და შეცდომაშია შესული; ყველა სხვა საბუთების გარეშე, დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საფრანგეთის უმაღლეს კომისარის ბ-ნ დე-მარტელის საუბარი ბ-ნ მ. ხოჭოლავასთან, რომელსაც ბ-ნმა დე-მარტელმა აშკარად განუცხადა, რომ „ბათომის საკითხის გარდაწყვეტა დღეს მეტად ძნელია, რადგან იქ ერთმანეთს ეჯახება მრავალი სახელმწიფოს ინტერესები".

რას ნიშნავს ეს?

რომელი სახელმწიფოს ინტერესები ეჯახებიან ბათომში ერთმანეთს? ერთად ერთი კანონიერი პრეტენდენტი ბათომისა მხოლოდ საქართველოა, რომლის უდავო უფლებანი დარწმუნებას არ ითხოვენ არავისთვის, ვინც კეთილსინდისიერად გაეცნობა ამ საკითხს! მაგრამ საქმე სწორედ იმაშია, რომ ეს „ინტერესთა შეჯახება" შეჰქმნა იმ ფარულმა მუშაობამ, რომელსაც ჩვენი მეზობლები ფართოდ ეწეოდნენ და ეწევიან დღესაც.

ჩვენ ვიცით, რომ ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ მათ ბათომში არავითარი ინტერესები არ აქვთ! რუსეთზე ლაპარაკი ხომ ახირებული უცნაურობა იქნებოდა, რადგან თუ რუსეთის პრეტენზიებს ვიცნობდით ბათომზე, მაშინ მთელ საქართველოზედაც უნდა გვეცნო იგი და თუ ჩვენ, ანტანტის მიერ ცნობილნი ვართ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაშინ რუსეთის პრეტენზიების საკითხი ბათომზედ, თავის-თავად იხსნება.

ლაპარაკობენ ოსმალეთზეც!—მაგრამ თუ ბრესტ-ლიტოვსკის ხელ-შეკრულება გაუქმებულია და იგი აღარ იცნობა საერთაშორისო ურთი-ერთობაში მაშინ ოსმალეთს რაღა ხელი აქვს ბათომზედ! და იგი ოფიციალურად ვერც აცხადებს თავის მოთხოვნილებათ და ფარულ მუშაობას ეწევა იმ მხრით, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი აამხედროს ჩვენს წინააღმდეგ და თავისი ხელი ამ არევაში მოითბოს!—მაგრამ ნუ თუ ანტანტის სახელმწიფოებს შეუძლიანთ საშუალება მისცენ ასეთი მიზნების განხორციელებისათვის?

ჩვენ გვჯერა რომ არა!

ბაკერა აზერბაიჯან სომხეთი! და ძალლის კუდიც სწორედ აქ მარხია.

მაგრამ მათს მოქმედებასაც რომ დაუკვირდეთ ამ საკითხში, ნათელი იქნება მთელი უსაფუძვლობა მათი მოთხოვნილებების! მათ უკანასკნელ დრომდე ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ თავიანთი მოთხოვნილებების შესახებ და მხოლოდ მაშინ ამოყვეს თავი, როდესაც საკმაო, ფარული აგიტაცია გასწიეს, მოკავშირეთა წრეებში;—მაგრამ ზერელე გაცნობაც კი, ბათომის ოლქის ისტორიულ, გეოგრაფიულ და ეკონომიურ პირობებთან, სრულებით საკმარისი იქნება, რომ ანტანტის წარმომადგენელნი, დარწმუნდნენ მხოლოდ საქართველოს კანონიერ და სამართლიან უფლებებში ბათომის ოლქზედ.

ჩვენ გვჯერა და სამართალმაც უნდა გასჭრას და ბ-ნ დე მარტელის აზრი რომ: „მე ვფიქრობ როგორც არ უნდა გადასწყდეს ეს საკითხი, საქართველოს სუვერენული უფლება მთელს ბათომის ოლქზედ გავრცელდებაო" ადგილობრივი პირობების გაცნობით უფრო გაღრმავდება და ანტანტის სხვა წარმომადგენლებიც წარუდგენენ უმაღლეს საბჭოს მოთხოვნილებას ბათომის საკითხის სწორაფი და ჩვენს სასარგებლოდ გადაჭრისათვის.

და თუ ანტანტის სახელმწიფოთა მართლა სურთ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ეს აქტი უნდა მოხდეს:

ეს იქნება გაპარჯვება საერთაშორისო სამართალისაც!

საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო კავშირის გარშემო

გაზ. „აზერბაიჯანი" ეხება რა საქართველო-აზერბაიჯანის სამხედრო კავშირს შემდეგს წერს:

„თავდაცვითი კავშირი, დადებული საქართველოსა და ჩვენი რესპუბლიკის შორის ჩვენთვის დამუქრებულ დენიკინელ ურდოების წინააღმდეგ ისევ უნდა განახლდეს ჩრდილოეთის ახალ საშიშროების წინაშე. საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების ისტორიული ბედი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან შეკავშირებული, ისტორიულ წარსულთ და ტერიტორიალი სიახლოვით, რომ მათი ერთსულოვანი გამოსვლები არის მოთხოვნილება არა მარტო განსაზღვრულ მომენტის, არამედ გამოწვეულია ამიერკავკასიის ცხოვრების საერთო პირობებით და ორივ რესპუბლიკისთვის ხდება sine qua non ის გარემოებად. ამ სთვის ის ჯაჭვი მეგობრობისა, რომლითაც ვიყავით გადამბულნი ჩრდილოეთიდან მოწოლილ პირველ საფრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს:

ბოლშევიკებმა აიღეს ქ. ნოვოროსიისკი და ანაპა, კავკავის სანახებში კი სლეპკოვსკაია, კავკავიდან 15 ვერსის ჩრდილო-დასავლეთით მზვერავები მოქმედებენ. დენიკინი შავ ზღისკენ იხევს.

მოსკოვის საგარეო საქ. კომისარმა პოლონეთის მთავრობისგან მიიღო რადიო, რომლითაც პოლონეთის მთავრობა წინადადებას იძლევა 10 აპრილიდან ქ. ბორისოვი მოლაპარაკება გამართოს.

გერმანიის ახალ კაბინეთში შედის: 5 სოც. უმრავლესობის, 4 დემოკრატი, 4 ცენტრის პარტიის წევრი, ყოფილი კანცლერი ბაუერი კაბინეთში შევიდა. მიიღო გზათა მინისტრის პორტფელი.

ლონდონის კონფერენციამ სომხეთის საკითხი განიხილა.

წერილები:

მეთაური—ბათომი და მოკავშირენი.
— საბჭოთა რუსეთი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები.
— საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბ. მარტელი ბათომში.
— სომხეთის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე.
— მისტერ ოლ. უორდროპის განცხადება.
რ. ნიკოლაძე—პოდიევკოვისა—სიტყვარზე და სიტყვებზე.

თაის მოლოდინში, უნდა დარჩეს გადაწყვეტილი, პოლიტიკურ სიტუაციის გამოცვლის დროს, როცა ამ მუქარამ მიიღო სრული სახე და ახალ ლოზუნგების ნიღაბი დაიმალა.

სამხედრო კავშირის განახლების წინ ერთხელ კიდევ უნდა გაუსვათ ხაზი, რომ ორივე რესპუბლიკა სრულიად სოლიდარულია თავის საგარეო პოლიტიკის საზოგადო კონტურების გაგებაში და ამ ძალების მიმართ, რომელთაც დაჟინებით მიაქვთ ამიერ-კავკასიის საზღვრებში ჩრდილოდანი გამწვავებულ კლასიურ და სოციალურ მტრობისა.

მაგრამ შებრძოლება ამიერ-კავკასიაში შემოჭრილი უცხო ძალებთან არის არა მარტო ბრძოლა გარკვეულ პოლიტიკურ ფორმებისათვის, არამედ ბრძოლა ამიერ-კავკასიის ერთა ფიზიკურ არსებობისათვის.

თავდაცვის კავშირი უნდა შეიკრას ერთა ხსნისათვის გაშანადგურებელ სამოქალაქო ტალღისაგან, რომლის კვალიც მომავალ მოდგმათა და საუკუნეებში გაივლება".

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბ-ნი დე-მარტელი ბათომში

მარტის 24-ს ბათუმში ჩამოვიდა საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ამიერ კავკასიაში ბ. დე-მარტელი. საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელმა, ამის შესახებ აუწყა ყველა კონსულებს ბათუმში და გადასცა მათ მოპატიჟება უმაღლეს კომისრის აუდიენციაზედ მარტის 25-ს 4 საათისთვის.

საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებულისათვის ბათუმსა და ბათუმის ოლქში შ. ი. ხოჭოლავასთვის დანიშნული იყო საგანგებო აუდიენცია 26 მარტს, დილის 10 საათისთვის.

ბ. საგანგებო რწმუნებულთან ერთად ბ. დე-მარტელს წარუდგნენ: პარიზში მიმავალი საქართველოს სამხედრო მისია გენ. ოდიშელიძის მეთაურობით და სამაჰმადიანო საქართველოს მეჯლისის წარმომადგენელი ჯემალ ქიქავა.

აუდენციაა ერთი საათი გაგრძელდა

ქვემოდ გვყავს მოყვანილი შეხედულებანი, გამოთქმული აუდენციაზედ მის მონაწილეთა მიერ.

ბ-ნ მ. ხოჭოლავას სიტყვა.

საგანგებო რწმუნებულმა მ. ხოჭოლავამ ბ. დე-მარტელს შემდეგი სიტყვებით მიჰმართა: „გუშინ თქვენ წარგიდგნენ ადგილობრივი კონსულები, მაგრამ მათ შორის თქვენ ვერ ნახეთ საქართველოს კონსული.

თუმცა ჩემთან ჩემს თანამშრომელთა შორის არის ერთი პირი, რომელიც ეწევა კონსულის მოვალეობას, მაგრამ ასეთ მდგომარეობას ვსთლი ისტორიულ გაუგებრობად რომელიც, ვიმედოვნებ, თქვენი შემწეობით მალე გამოსწორდება. მართლაც და მეტად უცნაურია ჩვენი მდგომარეობა, როცა ჩვენს სამშობლოში ძვირფას სტუმრების მიღება გვიხდება უცხოელთა როლში. და ეს ჩვენი მდგომარეობა ბათომში, უნდა გასაგები იყოს თქვენთვის, მშვენიერ საფრანგეთის შვილთათვის, რომელნიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში დასტიროდნენ თქვენგან ჩამოშორებულ ელზას ლორენს.

მაგრამ თუ ელზას-ლორენი თქვენთვის იყო მხოლოდ ერთი, თუმც უმშვენიერესი ყვავილი, სხვა ყვავილების ძნაში, ჩვენთვის ბათომი და მისი ოლქი, ის ყვავილია, ურომლისოდაც იღუპება არა მარტო სილამაზე საქართველოსი, არამედ აზრიც მისი სახელმწიფოებრიულ არსებობისა.

მე სიხარულით აღვნიშნავ, რომ დიდისა და ძვირფას საფრანგეთის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს, ჩვენ ყოველთვის გვიხდებოდა მტკიცება, რომ თქვენ ყველას გესმით ჩვენი და თანაგრძნობით ეკიდებით ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებათ.

ახლა კი დადგა მომენტი, როცა თანაგრძნობა პასიურ სიმპატიიდან უნდა აქტიურობაში გადავიდეს. და ჩვენ გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ საფრანგეთი, რომელმაც აჩვენა ქვეყნიერობას ინიციატივის გამოჩენის მაგალითი, ამ საკითხშიც იგი ეცდება ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილებას".

ბ-ნ დე მარტელის პასუხი

„მე დიდი მადლობელი ვარ თქვენი მოსალმებისათვის და ამასთან ვსარგებლობ შემთხვევით, რათა აღვნიშნო, რომ ბათომის საკითხის გადაჭრა საბოლოო აზრის მნიშვნელობით, მეტად სამძიმოა, რადგან აქ ერთმანეთს ეჯახება მრავალ სახელმწიფოს ინტერესი. ყოველგვარ შესაძლებელ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უმაღლესმა საბჭომ გადასწყვეტა ბათუმის და მის გარშემო მცირე ზონის ნეიტრალიზაცია. საკითხის საბოლოო გადაჭრა მოშავალში იქნება.

ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ როგორც არ უნდა გადაჭრას ეს საკითხი, საქართველოს სუვერენული ხელისუფლება გავრცელდება ბათუმის ოლქის სრულ ტერიტორიაზედ.

ამასთანავე გამოვსთქვამ, რომ ამიერ-კავკასიის ჯერ ერთი რესპუბლიკის და შემდეგ სამ დამოუკიდებლად გაყოფილის — ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ დაახლოებას, შეიდრო თანამშრომლობას და შეთანხმებას—რადგან, ჩემის აზრით, უმისოდ თვითეულ მათგანის არსებობა იქნება მეტად დაბრკოლებული; და ამ მხრით ბათომის დროებითი ნეიტრალიზაცია, მე ვფიქრობ რომ ხელსაყრელიც იქნება საქართველოსთვის.

სრულიად ბუნებრივია, რომ ჩემს მიერ აქ, ადგილობრივი საკითხი ვერ გადაიჭრება მაგრამ თქვენი განცხადებანი დაწვრილებით იქნება აღნუსხული.

ამასთან ერთად შემიძლიან გაცნობოთ, რომ პარიზში საქართველოს საქმე დიდი სიმპატიით სარგებლობს ბ. ბ. წერეთლისა და ჩხეიძის დაცვით რომელთაც პარიზში დიდი პატივისცემით ეპყრობიან".

მ. ხოჭოლავას პასუხი

„მე დარწმუნებული ვარ, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ, მიიღებთ რა საბოლოო ობიექტიურ ინფორმაციას ბათუმის საკითხში, თქვენ შეიძლებთ თქვენი აზრი უფრო გარკვეულად გამოსთქვათ საქართველოს სამართლიან მოთხოვნილებათა შესახებ.

რაც შეეხება მეზობელ სახელმწიფოთა ეკონომიურ ინტერესების დაცვის საკითხს, ეს, თქვენ თბილისში ჩასვლისას შეიძლება დარწმუნდეთ ოფიციალ საბუთებთან გაცნობით, რომ ამ მხრივ საქართველო ყოველთვის ცდილობდა თვისი ინტერესები შეეთანაბრებინა თავის მეზობელთა ინტერესებთან,—გადასწყვიტა საზოგადო საკითხები მათთან შეთანხმებით. მეზობელთა ეკონომიური ინტერესები უსათუოდ იქნება დაცული, მაგრამ უიჭველია აგრედვე ჩვენი სუვერენულ უფლებათა დამყარება ბათომსა და მის ოლქში.

გენერალ ოდიშელიძემ განაცხადა: „მე შემიძლიან მხოლოდ ორი სიტყვა ვსთქვა. როგორც ჯარისკაცი ყველაზე ახლოვანი ვარ ქართულ არმიაში, მე არ ვფლობ დიპლომატების ენით, ამიტომ პირდაპირ და გარკვევით შემიძლია განვაცხადო, რომ რაც საქართველოს ეკუთვნოდა ათასწლობით ისევე უნდა დაუბრუნდეს მას მრავალ ათასწლით. საკმაოა მცირედენი გაიაროთ ოლქში, რომ ნახოთ ძეგლები, რომელნიც ნათლად და მკვეთრმეტყველურად ლაღადებენ იმაზედ, რომ აქ იყო საქართველოს აკვანი, რომ ის აქედან იკრებდა თავის ძალებს და აქ ნვითარებდა თავის ეროვნულ კულტურას.

მეჯლისის წარმომადგენელის ბ. ქიქავას მიმართვა

შემდეგ ბ. დე-მარტელს მიესალმა მეჯლისის წარმომადგენელი ჯემალ ქიქავა. მან წაიკითხა, რომ ეს მხარე, მიუხედავად საუკუნოებრივი შეგიწროებისა, ყოველთვის იყო ერთგული ეროვნული იდეის, და ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები ვამაყობთ მითი, რომ ჩვენი სამშობლო დედა ეზიარა კულტურას ამ ნაწილით. აქ არის აკვანი საქართველოს კულტურის. აქ დაიწყრიალა რუსთაველის ცხოველმყოფელმა ქნარმა, ჩვენ ან არ ვიარსებებთ, ან ვიარსებებთ, საქართველოსთან განუყოფლად".

საუბრის დასასრულ ბ. დე-მარტელი და მ. ხოჭოლავა გაეზიარნენ ერთმანეთს მეგობრულ რეპლიკებით და გამოსთქვეს რწმენა, რომ ბათომის საკითხი გადიჭრება საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესების დაცვით.

დღეს 4 ს ბ. დე-მარტელმა საგანგებო რწმუნებულს მ. ხოჭალავას საპასუხო დარბაზ ბა გადუხადა.

სადამოს 9 საათზედ ბ. დე-მარტელი თბილისს გამოემგზავრა.

საბჭოთა რუსეთი და ამიერ-კავკ. რესპუბლიკები

ეგ. გეგეჭკორის განცხადება.

ამ ჟამად ბაქოში მყოფ საქ. საგარეო საქმეთა მინისტრს ეგეგენი გეგეჭკორს გაზ. „აზერბაიჯანი"ს თანამშრომელთან ინტერვიუში შემდეგი განუცხადებია:

ჩრდილო-კავკასიაში.

ამ ჟამად, სთქვა ე. გეგეჭკორმა, ჩრდილო-კავკასიაში არ არის არც ბოლშევიკური და არც მოხალისეთა ფრონტები. ამიერ-კავკასიის პრესის ყველა ცნობები ბოლშევიკების ამიერ-კავკასიისკენ საოცარი სისწრაფით წინ-წაწევის შესახებ სრულიად არ ესაბამება ჭეშმარიტებას. ჩრდილო-კავკასიაში ქალაქების და ცალკე პუნქტებს დაჭერა მოხდა ადგილობრივ ბოლშევიკურ ჯგუფების მიერ.

ამ ჯგუფების ამბოხებათ ვერ ნახეს ვერავითარი აქტიური წინააღმდეგობა მოხალისეთა არმიის მხრივ, რადგან მათ იგი ჩაიგდეს ხელში მისი სრული დემორალიზაციის პერიოდში. თუ რა ღრმად გაუწვა ფესვები ამ დემორალიზაციამ ამტკიცებს ის ფაქტი, რომ კავკავიდან ბოლშევიკების დაჭერამდე, დაიხია მოხალისეთა საკმაოდ დიდმა ნაწილმა. ჯერ კიდევ მაშინ გახდა აშკარა, რომ მოხალისეთა ვეღარავითარ წინააღმდეგობას ბოლშევიკებს ვეღარ გაუწევენ.

ამ ჟამად ჩრდილო-კავკასია სრულიად ბოლშევიკურ გავლენის სფეროში იმყოფება.

რანაირია ამ ფაქტის მნიშვნელობა ამიერ-კავკასიის ახლად დაარსებულ რესპუბლიკებისთვის?

მუქარა მარჯვნივ და მუქარა მარცხნივ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები დიდხანს ცხოვრობდნენ რეალ მუქარის დამოკლეს მახვილის ქვეშ, რაც ემუქრებოდა მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიულ არსებობას რეაქციურ მოხალისეთა არმიის მიერ, რომელიც მოდიოდა გენერალ დენიკინის მეთაურობით. ამ მუქარამ ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები თავის დამოუკიდებლობის დასაცავად.

ამასთანავე ერთად მაშინვე იქმნა ნამხელი ამიერ კავკასიის ერთა ნება და გადაწყვეტილება დამოუკიდებელ არსებობის უფლებისათვის. დენიკინის არმიის დაშლამ ამიერ-კავკასიისთვის მოსპო მუქარა მარჯვნივ. ის გარემოება, რომ საბჭოთა რუსეთმა დღემდე არ აღიარა დამოუკიდებლობა საქართველოსი, აზერბაიჯანისა და სომხეთის, სტოვებს ამ მუქარას ძველებურად ქმაგრამ ეს მუქარა არსებობს არა მარჯვნივ, ალამედ მარცხნივ. ამ აზრით ჩრდილო-კავკასიის ყველა ამბები არის მხოლოდ გატანა დეკორუმში, გარეგან ძალით.

— მუქარა იყო. მუქარა დარჩა. ადრევე საქართველოს ჰქონდა ფრონტი მოხალისეთა წინააღმდეგ—მთის ქედებთან და შავ ზღვის სანაპიროებზე. ახლა იგი იძულებულია ეს ფრონტი ბოლშევიკების წინააღმდეგ იქონიოს.

ჩვენი პოზიცია

რა ნაირია ჩვენი პოზიცია? ის ნათელია და გარკვეული. ჩვენ ვიცავთ ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს დამოუკიდებლობას,

ყველაზე ძლიერი იარაღი ჩვენს ხელშია რის წყალობითაც ჩვენ თავს ვგრძნობთ უმეტეს ნაწილად, არის დარწმუნება ჩვენი საქმის სიმართლეში, რადგან ჩვენ საკუთრივი ტერიტორიაზე ვიცავთ თავის კერას, თავის თავისუფლებას, თავის დამოუკიდებლობას. და ჩვენ ვიცით, დარწმუნებული ვართ, რომ იმ მომენტში, როცა რომელიმე ძალა ხელს აღიღებს ჩვენს ბუნებრივ უფლებაზე, მთელ ხალხში, რა გინდ ერთი კაცი ადგება თავს სახელმწიფოს დასაცველათ.

ჩვენა ვართ მხურვალე მომხრენი სამშვიდობო პოლიტიკის, საზოგადოდ და კერძოდ რუსეთისადმი. ჩვენი ნოტები ჩიჩერინთან აშკარად ადასტურებენ, რომ ჩვენ მზადა ვართ შეთანხმება დაგდოთ საბჭოთა რუსეთთან მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობის არსებობის აღიარებით.

საბჭოთა რუსეთმა მხოლოდ უნდა ცხოვრებაში განახორციელოს ჩვენდამი დამოკიდებულებისას მისი ლოზუნგი ერთა უფლებისა თვითგამორკვევისათვის.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა ურთი-ერთი დამოკიდებულებანი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთი-ერთი დამოკიდებულებათა პრინციპი ერთია—თავის დამოუკიდებლობის დაცვა და ამ საძირკველზე შეუძლიან და უნდა კიდეც დამყარდეს ამ რესპუბლიკათა კოალიცია.

რამდენადაც გვემუქრება გარე ძალა, ამიერ-კავკასიაში არსებულ status-quo-ს შეცვლის მიზნით, იმდენად ჩვენ უნდა შეუთანხმოთ ურთი-ერთი მოქმედებანი და ვერიდოთ იმ ნაბიჯებს, რომელნიც დასუსტებენ ამიერ-კავკასიის ფრონტს, რაც გაძლიერებს ძალას საერთო მტრის წინააღმდეგ.

რასაკვირველია, ამიერ კავკასიის ურთიერთობის საკითხებში მრავალი ავადმყოფი ადგილებია. მრავალი საკითხები მათგან ჯერ არ არის გადაჭრილი, ამიტომ შესაძლებელია ამ ორ რესპუბლიკათა შორის გაუგებრობაც მოხდეს. მაგრამ უპირველესად არ უნდა დავიიწყოთ, რომ ყველა ეს გაუგებრობანი, არიან კერძო ხასიათის რესპუბლიკათა საერთო მიზნის მიმართ, რაზედაც მე ვლაპარაკობდი.

ამ ჟამად ჩვენთვის არ არი საშიში გარეგანი ძალა. მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ უფრო რეალური საფრთხე თვითონ ჩვენშია. და როდესაც შინაგანი საფრთხე მოისპობა, მისი მოსპობა კი ადვილია, არავითარი ხელის აღება ჩვენს სახელმწიფოებრიულ არსებობაზედ არ იქნება ჩვენთვის საშიშარი.

შინაგანი ამბოხი და შფოთი ცალკე რესპუბლიკათა შორის ასუსტებს სრულიად ამიერ-კავკასიას. ეს უნდა სამგზის ახსოვდეთ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის და მჭიდრო დაახლოვების იდეის მატარებელთა, ამ იდეისთვის მებრძოლთა, მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ იმას, რომ მოსპონ შინაური შფოთი ან გარეგან ფრონტის ქაოსს, უნდა მიაგებონ თვისი გაერთიანებული ფრონტი. ამიერ-კავკასიის თვითეულმა სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ძალიმალური სიმტკიცე თვისი შინაგანი აპპარატის.

საქართველო.

კითხვაზედ, თუ რა ნაირია მოვლენათა კავლენა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შინაგან პოლიტიკაში, ბ. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ის რამოდენიმედ შეჩერდება საქართველოს საშინაო ცხოვრებაზედ.

თანამედროვე პერიოდის საყვარელ თემად არის საკითხი მთავრობის ცვლილების და კრიზისების. ლაპარაკი, შეიძლება ყველაფერზე, მაგრამ ყოველთვის უნდა რეალ ფაქტებიდან გამოვდიოდეთ.

საქართველოში ეს ფაქტები ნათელია. საქართველოს მთავრობა ემყარება დარეფორმებელ კრებას, რომელიც არის გამომსახველი მთელი მოსახლეობის ნებისყოფისა.

საქართველოს მთელი ძალღონე ისახება არა მარტო ადმინისტრატიულ—სახელმწიფოებრივ მექანიზმსა და სამხედრო ორგანიზაციაში, არამედ იმ იდეურ სულიერ კავშირში, რომელიც ხალხსა და მას მთავრობის შორის დამყარდა.

თქვენ იცით, რომ ჩვენში ყოველთვის ხდება არჩევნები, როგორც მაგალითად, ამას წინ მოხდა საერობო არჩევნები; ამ არჩევნებში ხალხი ხმის უმეტესობას მუდამ მმართველ პარტიას აძლევდა.

ამას წინად ჩვენ ვიყავით მოწმენი გრანდიოზულ მანიფესტაციისა ქ. თბილისში და სრულიად რესპუბლიკაში (ბათუმის საკითხის გამო), რაც ასევე ხალხის ორგანიზულ კავშირს ადასტურებს მთავრობასთან.

წარსულ წლის გაორგანიზებულ ფაქტში მომხდარ ამბოხებას საქართველოში თვით ხალხმა მოუღო ბოლო.

ეს ამბოხება იყო დემონსტრაციები ბოლშევიზმის უნიადაგობისა საქართველოში და მან ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა ხალხის ნდობას მთავრობისადმი.

საგულისხმიერო საბუთები, ამას წინედ თბილისში ბოლშევიკურ სამხედრო ორგანიზაციის აღმოჩენისას, ადასტურებენ მხოლოდ ერთ ფაქტს,—სურვილს ადგილობრივ ბოლშევიკების მცირე ჯგუფისას, გამოწვიონ ამიერ-კავკასიაში ანარქია მხოლოდ მისთვის, რომ შემდეგ მოიწვიონ გარეშე ძალა „წესიერების" დასამყარებლად. ყველა ეს შეთქმულობა დღეს ბოლო მოღებულია.

თქვენ ხედავთ ამ რიგად თუ რამდენად ძლიერია საქართველოს საშინაო პოლიტიკა. თქვენ იცით, რომ ძველი გარეშე ძალის—მოხალისეთა არმიის რეაქციის პოლიტიკამ ვერ შესცვალა საქართველოს შინაური ცხოვრების კალაპოტი, ვერ შესცვლის მას ასევე ახალი გარეშე ძალაც.

საქართველოს ყველასთან სურს მშვიდობიანობა და შეთანხმება საქართველოს მთავრობა არ იქნებოდა სახალხო მთავრობა, რომ მისი პროგრამის ძირეულ პუნქტად არა ყოფილ ყო კეთილი განწყობილების დაჭერა მეზობლებთან. ცნობილია, რომ ერები არა დროს არ ებრძვიან და არც სურთ ბრძოლა ერთმანეთთან. ომები ხდება მისთვის, რომ ხშირად ერებში აღიძვრებიან ხოლმე მთავრობის ისეთი ფრენები, რომელთაც მიმდინარე მომენტს ანგარიშს არ უწევენ.

და ეს ძირითადი ჩვენი შეხედულება, მოერიდა ყოველ შეჯახებას, არის ძირეული მაზისი ჩვენი მსოფლმხედველობის. ამ გზაზედ ვიდგებით ჩვენ, მხოლოდ თუ გარეშე ძალა არ გვაიძულებს იქიდან გადახვევას.

გარეშე ძალას შეუძლია ჩვენი დამონება, მაგრამ საქართველო და ქართველები არასოდეს შეუშვერენ თავს მონობას.

მოხალისეთა შემოსვლა საქართველოში

უკან დახეულ მოხალისეთა ნაწილების შემოსვლა საქართველოში ჰქმნის მრავალ გართულებას, მაგი დაბინავებას, სურსათის და გადაყვან გადმოყვანის გამო.

საქართველოს მაინც არ შეუძლია უარი სთქვას ადამიანურ მოვალეობაზე მათთვის ვინც ადგილი ა საქართველოს საზღვრებთან. საქართველო ეპყრობა მოხალისეებს ისე, როგორც მას საერთაშორისო უფლება მოითხოვს. სწორედ ასევე მოიქცა საქართველო წარსულ წელსაც, მაშინ, როცა ხუთი ათასიანმა ბოლშევიკების რაზმმა კავკაკავიდან დაიხია მის მიწა წყალზე.

ჩამოსვლის მიზანი.

გაზ. თანამშრომლის შეკითხვაზედ, რანაირია მიზნები მისი ჩამოსვლისა, ბ. გეგეჭკორმა განაცხადა: მე დიდი ხანია, ვაბირობდი აქ ჩამოსვლას, ისევე როგორც სომხეთში. ჩამოველი მე აზრთა გასაცვლელ-გამოსაცვლელად აზერბეიჯანის წარმომადგენლებთან მრავალ საგულისხმო საკითხების გამო.

თბილისში დაბრუნებისას მე ვაპირობ გავემგზავრო სომხეთში.

„ამიერ-კავკასიამ დაასრულა ე. გეგეჭკორმა, უკანასკნელ წლებში მრავალი მწარე განსაცდელი განიცადა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოველი ახალი განსაცდელი, რომელშიაც უნდა გაიარონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა, არის ის ქურა, რომელშიაც უნდა გამოიწვეს მათი თავისუფალი არსებობის დამოუკიდებლობა.

მდგომარეობა გერმანიაში.

(საქ. დეპ. საგ.).

ახალი კაბინეთი.

ბერლინიდან მოსული ცნობით მილერის სამინისტრო თითქმის უკვე შედგენილია. „ფოსიშე ცაიტუნგის" ცნობით შავ შესუფან კანცლერთა და საგარეო საქმეთა მინისტრათ ჯერმან მილერი, შინაგან საქმეთა მინისტრათ და ვიცე კანცლერათ კოსი (დემოკრატი) სამხედრო მინისტრათ ვასლერი (დემოკრატი) იუსტიციის მინისტრათ ბელიუნკი (დემოკრატი) ეკონომიის მინისტრათ რობერტ შმიდტი, სურსათ სანივაგის ხერმესა (ცენტრიდან), გზათა და ტრანსპორტის ბაუერი, ფოსტის გიხბერტსი (ცენტრიან) შრომის შლიკე, სახელმწიფო ხაზინის დ-რ ვირტი (ცენტრი) ფინანსთა კიენო. რურის ხეობაში კომუნისტებისა და მუშათა ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებაა. მეორეს მხრივ „ბერლინერ ტაგბლატ" შემდეგ ინფორმაციას იძლევა: მაშინ, როდესაც ბერლინი კრიზისის მსხვერპლი შეიქნა. პარიზში ცნობა მოვიდა, რომ მთავრობის ჯარები უნებარეოთ შედიოდენ ნეიტრალურ ზონაში.

ნაუენი. 27 მარტ. ახალ კაბინეთში შედის: 5 სოციალისტების უმრავლესობის 4 დემოკრატი, 4 ცენტრის პარტიის წევრი. ყოფილი კანცლერი ბაუერი კაბინეტში შევიდა. მიიღო გზათა მინისტრის პორტფელი.

ბერლინში პარასკევისათვის დანიშნული ეროვნული ყრილობის სხდომა გადასდვეს მილერმა შეადგინა ახალი კაბინეტი. სჩანს, რომ დიუსელდორფში წესრიგი აღდგენილია. მიუხედავად კომუნისტების ცდისა, მდგომარეობის ბატონ პატრონი სოციალ-დემოკრატებია.

ფრანგული ცნობები.

....(დასაწყისი არ მიგვიღია).... იმ ჯარების განიარაღება, რომელნიც სახელმწიფო გადატრიალებაში იღებდენ მონაწილეობას და მუშათა სინდიკატებთან შეთანხმება, აი ყოველი ის პუნქტები, რომელსაც არ ეთანხმებოდნენ, ან გაურბოდენ თანდათან მარჯვნით მიმავალი დემოკრატები. ალბათ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრი გერმან მილერს მიანდობენ კაბინეტის შედგენას. კაბინეტში შევა ეკონომიის მინისტრის პორტფელით ყოფილი კანცლერი ბაუერი. საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილზე ასახელებენ ორ კანდიდატს გრაფ ბერნსდორფსა და გრაფ ბროკდორფ რანტაუ.

გერმანიაში საწყნარე მყარდება

„პტი ჟურნალი" გერმანიის მდგომარეობის შესახებ შემდეგს ცნობებს იძლევა: ბერლინიდან მოსული უკანასკნელი ცნობები ამტკიცებენ, რომ გერმანიაში თანდათან სიწყნარე მყარდება. სატახტო ქალაქში გაფიცვები შეწყდა. „ფრეიგეიტი" აღნიშნავს შეთანხმების არსებით პირობებს: მთავრობას ავალებენ რურის ოლქში მუშების მიმართ საწინააღმდეგო ზომები არ მიიღოს, და მართლაც ამ ოლქში ამ ჟამად არსებობს ერთგვარი ჩუმი დროებითი ზავი, რაც ხელს უწყობს მიმდინარე მოლაპარაკებას, რომელიც იმედი უნდა ვიქონიოთ მოკლე დროში დასრულდება. საკითხი, რომელიც ამ ჟამად უფრო საყურადღებოა, ეს არის კაბინეტის შედგენა. შესაძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ ახალი პირებისაგან კაბინეტის შედგენაზე და მასში მუშათა წარმომადგენლებიდან რამდენიმე პირი შევა.

ბერლინში უარყოფენ ხმებს, ფონ-ლიუტვიცის და ფონ-ტროტის დაპატიმრების შესახებ, აგრეთვე უარყოფენ ლიუდენდორფის დაპატიმრების შესახებ გავრცელებულ ხმებს. სამშაბათს ბიელფელდში გერმანიის მინისტრ გისბერტსისა და ბრაუნისა და რურის სამრეწველო ოლქის მუშათა დელეგატებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. გადასწყდა 24 საათით შეკრან დროებითი ზავი, რომელიც ყოველ დღე განახლდება, რათა ბერლინის მთავრობას ანგარიშის გაწევის საშვალება მისცენ, რომ მან საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანოს. ტარდემ განაცხადა: რადგან შეერთებულმა შტატებმა საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე უარი განაცხადა ვერსალის ხელშეკრულება უფლებას გვაძლევს (429 მუხლი) რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია გაგრძელდეს იმ დრომდე, სანამ გერმანიის მხრით აგრესიული მიზნების უქონლობაში რაიმე გარანტიას არ მივიღებთო.

სომხეთის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე

(საქ. დეპ. საგ.)

ლონდონის კონფერენციაზე იხილავენ სომხეთის საკითხს. „პტი-პარიზიენის" ცნობით უკვე გამორკვეულია სომხეთის საზღვრები და პრეზიდენტ ვილსონის მიერ გამოთქმულ სურვილის თანახმად ახალ სახელმწიფოს გამოსავალი ექნება შავ ზღვაზე, მანდატის საკითხის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. კონფერენცია შეუდგა ბათომის საკითხის განხილვას, მაგრამ არც ამის შესახებ გამოუშავებია მას საბოლოო გეგმა. ჯერ-ჯერობით კონფერენცია შეთანხმდა ამ ნაწილადგურში საერთაშორისო საზღვაო ძალების ბაზისზე, რომელმაც უნდა დაიცვას ქალაქი, მისი მიდამოები და ბათომ ბაქოს რკინის გზა.

უცხოეთი

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის დელეგაცია ლონდონში

როგორც „ტაიმს“-ი იუწყება, ლონდონში ჩავიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაცია, აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის ალი-მარდონბეგ თოფჩიბაშევის მეთაურობით. მათი ჩამოსვლა გამოწვეულია უმაღლეს საბჭოს და ერთა ლიგის საბჭოს სხდომების გამო.

დელეგაციის ლონდონში ჩასვლის მიზანი, შუამდგომლობა სახელმწიფოთაგან უკვე ცნობილ აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის „de facto“ს „de jure“-ს ადიარება, აგრეთვე განხილვა კონფერენციის შექმნის საკითხის ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკიდან: საქართველოსა, აზერბაიჯანის და სომხეთისაგან.

სომხეთი

სომხეთის პარლამენტი კილიკიის ამბების შესახებ.

პარლამენტში კილიკიაში სომხების ჟღეტის შესახებ კამათი დამთავრდა. ერთხმად შემდეგი რეზოლუცია მიიღეს. მოვისმინეთ რა მთავრობის განმარტება კილიკიაში მომხდარ სომხების ჟღეტის შესახებ, პარლამენტი უცხადებს დრმა პროტესტს ამ ჟღეტის მოწყობით და ღრმა მწუხარებით აღნიშნავს ფაქტს, რომ მოკავშირეებმა არ მიიღეს ზომები, რათა ოსმალეთს საზავო ხელშეკრულების პირობები პირნათლად აღესრულებინა, რით ოსმალეთს მიეცა საშუალება სომხების პერიოდული ჟღეტის. პარლამენტი ადგენს, რომ პრეზიდიუმის საშვალებით შეატყობინონ კულტურულ ერებს მათ პარლამენტების საშვალებით სომხის ერის პროტესტი და დაევალოს მთავრობას, რათა ყოველივე საშვალებით მიღწეულ იქმნეს შიზანი ჩვენი ძმების ოსმალეთის უღლისაგან გათავისუფლების, რითაც დასასრული მიეცემა ოსმალოთაგან ასეთ მხეცურ გამოსვლებს.

ჩრდილო-კავკასია

(„ეროვნი გორეცის“ ცნობები)

მთიელთა მთავრობის გამოცხადება

კავკაზში გამოცხადებულია მთიელთა მთავრობა ჰაიდარ ბამმატის მეთაურობით.

ჩრდ.-კავკასიის თავდაცვის საბჭოს დეკლარაცია

ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭომ შემდეგი დეკლარაცია გამოაქვეყნა:

„შეუდგება რა მუშაობას, ჩრდ. კავკასიის თავდაცვის საბჭოს ახალი შემადგენლობა დაღესტნის ხალხისგან არჩეული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის განცდის საშიშარ დღეებში, სთვლის თავს დროებითი ერთადერთ ორგანოდ მთიელთა რესპუბლიკის საბოლოო განწმენდამდე.

როგორც ორგანო მთიელთა ერების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისა, თავდაცვის საბჭო თავს იდებს უმაღლეს ხელის უფლებას, მტრისაგან განწმენდილ ადგილებში და მიზნად ისახავს დანარჩენ ტერიტორიის განწმენდას და მთიელთა ერების საერთო კონფერენციის მოწვევას სახელმწიფო აღმშენებლობის საკითხების გადასაჭრელად.

თავდაცვის საბჭო თავის გარშემო აერთიანებს თავის კუთხის ყველა ძალებს, სწყვეტავს ყველა მიმდინარე საკითხებს შარიათისა და რევოლიუციის სულის თანახმად.

გამოტანჯული მთიელი ერი, ესწრაფის მშვიდობიანობას და კულტურულ განვითარებას, ამისთვის თავდაცვის საბჭო თავის შიზნად ისახავს, დაიცვას მშვიდობიანი და კეთილმეზობლური განწყობილებანი მასთან მოსაზღვრე ყველა რესპუბლიკებთან. მთიელთა მშრომელთა ხალხების წინაშე, ჩრდილო-კავკასიის თავდაცვის საბჭო პასუხისმგებლად სთვლის თავს, საგარეო და საშინაო პოლიტიკაში და გადასცემს მას სრულ ხელის უფლებას.

ჩრდ. კავკ. რეს. თავდაც. საბჭო.

ხმები ნური-ფაშის დაპატიმრების შესახებ.

ბაქოში დაღესტნიდან ჩამოსულები ირწმუნებიან, რომ დარუბანდის ასპარეზზე გაიგეს, თუ არა ლეგაშის ამბები, მაშინვე მოხსნეს დარუბანდიდან ზოგიერთი სამხედრო ნაწილები. რომელნიც იგზავნებოდნენ მაჯალისში და რომელნიც კომუნისტებს ემხრობოდნენ.

ამ სამხედრო ნაწილებმა თითქოს დააპატიმრეს მაჯალისში მყოფი ნური-ფაშა. ესევე პირნი იტყობინებიან, რომ თავდაცვის საბჭომ შეტაკებამდე წინადადებით მიმართა ნური ფაშას, რათა მას თავისი მთავარ-სარდლობის რწმენებულობა მოეხსნა.

ახალი მთავრობა გროზნაში.

მოხალისეებმა, ქ. გროზნოს დატოვებამდე დიდძალი ხალხი ჩამოაღრჩეს, დაწყობილი შეიბეილინოვკიდან, რომელიც ფარიში ხალხით არის დასახლებული.

მოხალისეთა წასვლის შემდეგ აქ დიდი ძარცვა-ყლეფა დაიწყო, შემდეგ ქალაქში შეეფიდა გიკალო რაზმით, რომელიც შესდგებოდა წოთელარმიელებისა, ჩაჩნებისა და ყამარდოელებისგან.

გამოიცა მოწოდება, რომელში ნათქვამი იყო, რომ ეროელი უფლება გადადის ტრიუმვირატის ხელში: გიკალო, ჰილდერა, იონესიანი. ქალაქი გაუდაბნოდა. მთელი მაღაზიები და ძარცულია.

ყაზაზობა სტანიცებში დაიფანტა, ხალხი აფიცრობა კოკაკში შეგროვდა.

საბჭოთა ნაწილები ასტრახანიდან „შავ ბაზართან“ ახლოს იმყოფებიან.

7 პირი.

ასტრახანიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა აპრილში თერგსა ყუბანსა და დონში ამნისტია გამოაცხადოს. ამნისტია არ შეეხება მხოლოდ 7 პირს: დენიკინს, შკუროს, რომანოვსკის, ლეშკომსკის, პოკროვსკის, ფრანგელს და ლიახოვს.

10 მილიონის დაღუპვა კასპიის ზღვაზე.

ასტრახნიდან მომავალი მოტორიანი ნავი, რომელსაც ათი მილიონი ოქრო მოჰქონდა ბაქოსთან გაირიყა. ნავი გატყდა და დაიძირა. ნავში მყოფი ხალხი გადარჩა მაგრამ ფული დაიღუპა.

ძმ. ჯაბაგიევების გამგზავრება.

მარტის 19-ს თბილისიდან თერგში გაემგზავრნენ ძმები: ვასან-გირეი და მამმად ჯაბაგიევები.

რუსეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

მოსკოვი. 27 მარტი. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

ბოლშევიკების სამხედრო ცნობა დასავლეთის ფრონტი. მურმანის რკ. გზის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა პიაოზერის ტბის დასავლეთის ნაპირს მიაღწია. ბორისოვის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. მოზირის რაიონში ბრძოლა ადგილობრივი ხასიათისაა. ოვრუჩისა და კოროსტენის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. ბერდიჩევის დასავლეთით 55 ვერსზე ბრძოლაა. ჰოდოლის კამენეცის რაიონში ქალ. უშრიცის აღმოსავლეთით ბრძოლაა.

სამხრეთის ფრონტი. პერეკოპის რაიონში მტერმა შემოგვიტია მაგრამ ქალაქისაკენ უკუ ვაგდეთ.

კავკასიის ფრონტი 24 მარტს ნოვოროსისკის მიმართულებით ანაპა აგიღეთ. ნოვოროსისკის ჩრდილოეთით 12 ვერსზე სადგ. ტოფოლნაიასთან ბრძოლაა. ვლადიკავკაზს რაიონში ჩვენ სლეპცოვსკაია აგიღეთ სადგ. ბესლანზე მზვერავები მოქმედებენ ვლადიკავკაზის ჩრდილო დასავლეთით 15 ვერსზე).

მოსკოვი, 27 მარტი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა პოლონეთის მთავრობისაგან მიიღო რადიო, რომლითაც პოლონეთის მთავრობა წინადადებას იძლევა მოლაპარაკება დაიწყონ 10 აპრილიდან ქალაქ ბორისოვში.

პრესის მიმოხილვა. „იზვესტიაში“ სემიაშკო სწერს: მოსკოვმა გვაჩვენა სახლების, ეზოების და ბინების გაწმენდის მაგალითი. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა რომ მთელი რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები სრულიად გაიწმინდოს მოსკოვის საგანგებო სასანიტარო კომისია აწყობს „აბანოს კვირას“ მცხოვრებლებს გადასცემენ აბანოებს. დაურიგებენ საპონს, და ადუღებულ წყალს გაფართოებული იქნება საპარიკმახეროები და სხვ. საზოგადოსისუფთავეს უნდა მოყვეს პირადი სისუფთავეც. პირველი ჭკლავს ხოლერას, მეორე—პარტახტიან სახადს. მკაცრი კანტროლი უნდა იქნეს შემოღებული, რომ ყველამ აასრულოს ეს. გაწმენდა—ამას მოითხოვს ჩვენგან ათასი და შეიძლება ასი ათასი ადამიანის სიცოცხლე. ეპიდემიის მოსპობა—ნიშნავს ჩვენი გამარჯვების დაჩქარებას როგორც სამხედრო ფრონტზე, ისე შეურნეობის აღდგენის საქმეში. ყოველი პუპყიანი, მკბენარიანი—ეს კონტრრევოლიუციონერია და ის უნდა დაიხოცოს.

მოსკოვი, მარტის კავკასიის ფრონტი. კავკასიის ფრონტის ჯარმა აიღო ანაპა, ნოვოროსისკი მიაკოში, გროზნი და ყიზლიარი. დონსა და მანიჩს მიფრენულმა დენიკინის არმიამ ისარგებლა მდინარის ადიდებით, მოაწესრიგა ჯარი და შეავსო მობილიზაციით. ოფიციალური ცნობებით, დენიკინელებს გადეთ 75 ათასი ჯარისკაცი იმ დროს, როდესაც ჩვენ არმიაში იყო 50 ათასი. მიუხედავად ათი სიმრავლისა ჩვენმა ჯარმა მათ შეუტია, მდ. ყუბანზე გადავიდა და დენიკინი შავი ზღვისაკენ... ამგვარად სამხრეთის კონტრ-რევოლიუციის ბუდე დამარცხდა. შავი ზღვის ნაპირებზე ყუბანისა და თერგის ოლქში აჯანყებულთა რაზმეულმა ჩვენ სარდლობასთან კავშირი დაიჭირეს და ჩვენ დირექტივებს ასრულებენ.

პრესის მიმოხილვა. „იზვესტიაში“ სტეკლოვი სწერს: რუმინეთი, პოლონეთი და ლატვია ერთი მეორეს დამოუკიდებლად გამოსთქვამს სურვილს საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ... (გამოტოვებულია) ლატვია მათ არის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყოს. პოლონეთი წინადადებას იძლევა, რომ დელეგატები ბორისოვში შეხვდენ ერთმანეთს: თეთრ-გვარდიელთა, პოლონეთი, იძლევა რა წინადადებას საზავო მოლაპარაკებაზე, იმავე დროს დასავლეთ ფრონტზე გაძლიერებულ შეტევას აწარმოებს. პოლონეთის მთავრობის ასეთი მოქმედება მის გულ-წრფელობაში ეჭვს იწვევს. საბჭოთა რუსეთს ზავი სურს, მაგრამ საგნის ფაქტიური მდგომარეობა ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ ჩვენ მზათ ვართ რა ზავის შესაკვრელად, იმავე დროს ფხიზლათ უნდა ვიყოთ.

მოსკოვი. მარტის 28. საბჭედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. ზღვიბინ-მიზირის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძოგს. ოვრუჩ-კოროსტენის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. ბერდიჩევის ჩრდილო დასავლეთით 60 ვერსზე ჩვენ სოფლები აგიღეთ. ლატვიის სამხრეთით რკ. გზასთან ჩვენი ჯარი იბრძვის.

კავკასიის ფრონტი 27 მარტს ჩვენ ბრძოლით ქ. ნოვოროსისკი ავიღეთ. დასავლეთით 50 ვერსზე ჩვენ ალექსანდროვსკაია ავიღეთ. გროზნოს რაიონში შუადღემენი ავიღეთ.

მოსკოვი 28 რუსის ოლქში ჯარი მტკიცედ სდგას. მუშათა ძალა 100.000 კაცს აღწევს. მათ აქვთ მძიმე არტილერია და ჯავშნიანი ავტომობილები. მთავრობასთან მოლაპარაკება სწარმოებს ბრძოლის შეწყვეტით იმ პირობით, რომ მუშებს იარაღი დარჩეთ.

საფრანგეთი

მილიერანი საგარეო პოლიტიკის შესახებ

(საქ. დეპ. სააგ.)

მინისტრთა სიბჭოს თავმჯდომარე მილიერანმა პარასკევს პალატაში მოხსენება გააკეთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან განაცხადა მოკავშირეთა განმეორებულ გადაწყვეტილების შესახებ, რომ ისინი საბჭოთა რუსეთთან ერთ-ერთ დიპლომატიურ დამოკიდებულებას არ დაიჭერენ. ვერსალის ხელშეკრულობის აღსრულების შესახებ მილიერანმა განაცხადა—გერმანია გაურბის და სცდილობს დიდი ხანით გადადოს დამნაშავეთა გაცემა, ზარალის ანაზღაურება და განიარაღება. გერმანიის მთავრობის შესახებ მილიერანმა სთქვა, რომ საფრანგეთი არ არის ბიზლისა და შურის ძიების ქვეყანა. (გამოტოვებულია) რომ საფრანგეთის მთავრობა არ უარყოფს გერმანიასთან ეკონომიურ დაახლოების შესაძლებლობას, მაგრამ ამის აუცილებელ პირობათ კი ჯერ საზავო ხელშეკრულობის შესრულებას სთვლის.

სპარსეთი

მდგომარეობა სალმასტში.

სალმასტიდან იტყობინებიან, რომ იქ მთავრობის ჯარისა და ადგილობრივ ქურთებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ჯარს დაეხმარა ყანდარმერია და ყაზახობა, რომელთა ქურთები გაფანტეს. ახლა აგატაპსა და სეისტანში ბრძოლებია, რომლის შედეგები გამოურკვეველია.

ახალი ამბები

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტროში.

მთავრობის საგანგებო კომიტეტის 22 მარტის სხდომაზე დაადგინეს.

სურამ ბორჯომ ხაშურის რაიონის ლტოლვილთათვის ბინის და სურსათ სანოვაგის მიხმპობის საკითხი.

1 მაისიდან ხსენებულ რაიონში დაბინავებულ ლტოლვილებს მოესპოთ ბინისა და სურსათ-სანოვაგის უფასო მიცემა, რაც გამოეცხადოთ წინდაწინვე ლტოლვილებს; ხოლო მათი და მათ მარგის რკინის გზით გადაზიდვაში დაეხმარება კომიტეტი.

ანგარიშების წარმოდგენის საკითხი.

საჩქაროდ მიეწეროს ყველა კომიტეტის დაწესებულებათ წარმოადგინონ კომიტეტში წინასწარ თათვის მუშაობის ანგარიშები.

ქ. გორში ადგილობრივ ლტოლვილთათვის სურსათის სახით დახმარება.

დაევალოს გორის ქალაქის თვითმმართველობას და გორის სამაზრო ერობას ერთმანეთთან შეთანხმებით კოოპერატიულ ნიადაგზე მოაწყოს საკუთარი ფურნე. ამ მიზნისთვის საქმეპირველ დაწყებისათვის კომიტეტი აძლევს 1 2 ვაგონს ფქვილს თავის ბარჯზედ. ფურნის შეკეთება მიენდოს ინჟ. ბურჯანაძეს და 25 მარტიდან მოისპოს უფასო პურის დარიგება, მხოლოდ ღარიბებს პური დაურიგდეთ იმ ფასებში, რომელშიც თვით ექნებათ ნაყიდი.

კრებულის გამოცემა.

გამოიცეს დასურათებული კრებული გორში მომხდარ უბედურების აღსანიშნავად სადაც იქნება მოთავსებული ყველა მომმქმედ კომიტეტის განყოფილებათა მოხსენებანი და ანგარიშები და ნაგრავების სურათები. ამ ს საერთო ხელმძღვანელობა მიენდოს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ინ. გ. მართელი, ბ. გელეიშვილი და ზან დუკელი.

ახალციხის მეჩეთების გაძარცვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალციხიდან ატყობინებენ, რომ ახალციხის მეჩეთის შენობები, უპატრონობის გამო იცარცვება ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ. ეზიდებიან მიღებს, ჩარჩოებს, კარებს, ფანჯრებს და სხვა. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ სასწრაფო ზომები მიიღო შენობების დასაცავად და ბოროტ-მოქმედების მოსასპობად.

უკანონო რეკვიზიცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები მოუვიდა, რომ სოფ. ვანის თემის გამგეობა ახდენს სიმინდის რეკვიზიციას, რის გამოც სასტიკი ზომებს იღებს გლეხთა წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა ამ საქმის გამოძიებას.

შრატის გატანა სომხეთში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს გაიტანოს საქართველოდან სომხეთში 1000 შუშა შრატი სუნახის წინააღმდეგ.

შინ. საქ. სამინისტროს კანცელარიის დირექტორის გადადგომა.

თანამდებობას თავი დაანება შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა ისონ აფაქიძემ. იგი სოფლად მეურნეობას აპირებს.

შორაპნის ხაზზე ფრონტის ხმოსანთა მეხუთე ყრილობა დანიშნულია მარტის 29 დღეს ორშაბათს ქ. ზესტაფონში,

დამფუძნებელ კრებაში

შუამდგომლობა.

ახალციხის სამაზრო ერობის შუამდგომლობა, მოკლე ვადიან 3 მილ. სესხის შესახებ, გადაეცა განსახილველად დამფ. კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას.

სამხედრო მინისტრის პროექტი განთლების კომისიაში.

დამფ. კრების განათლების კომისიაში სამხედრო მინისტრმა წარადგინა ახალი პროექტი, ხსენებულ სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციის შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა, ამ პროექტის მიხედვით ბაზინიდან საჭიროა გადადებულ იქმნას 3.061,975 მან.

სხვა და სხვა ამბები

ფარმაცევტთა ყრილობა.

ახლო მომავალში თბილისში მოწვეულ იქნება ფარმაცევტთა მეორე ყრილობა, რისთვისაც გამგეობის მიერ არჩეულია კომისია, რომელსაც ევალება ამ საქმის ორგანიზაცია, ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მასწავლებელთა ყრილობა:

კვირას 28 მარტს. თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის შენობაში მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლის მასწავლებელთა კავშირის წევრთა კრება ალ. წერეთლის თაოსნობით. სხვათა შორის დადგენილ იქმნა: დაუტარონ მასწავლებლებს ნახევარი ჰროც. საწევრო გადასახადის სახით, რაც შეადგენს 250,000 მან. ოვეში, კრებაზე გამოითქვა სურვილი მასწავლებელთა კოოპერატივის და ურთიერთდამხმარე კასის გახსნის შესახებ. დასასრულ აირჩიეს კავშირის გამგეობის წევრები: ი. ვართაგავა, მიქაბერიძე, პარკაძე, ბეგიაშვილი, ბერამიშვილი, ხუციშვილი და გაგუა. მათ კანდიდატებად: ხუნდაძე, ვეფხვაძე და ნემსაძე. სარევიზიო კომისიის და საარბიტრაჟო სასამართლოს წევრთა არჩევა გადადებულ იქმნა სხვა დროისთვის.

ბ. ბარნოვის საიუბილეო საღამო მეორე ქართულ კლუბში

მეორე ქართულ კლუბის მამასახლისთა ინიციატივით 3 აპრილს ამ კლუბში გაიმართება ვ. ბარნოვის საიუბილეო საღამო, რომლის შემოსავალიც გადაეცემა იუბილიარს.

ქართული დრამატიული დასი.

ქ. ბაქოს მიემგზავრება ქართული დრამატიული დასი სავასტროლოდ. დამსახურებულ მსახიობთ ქ ნ ელ. ჩერქეზიშვილის, ბ-ნ ვასო აბაშიძის და ქ-ნ ტასო აბაშიძის, შალვა დადიანის და სხვათა მონაწილეობით. პირველი წარმოდგენა გაიმართება თეატრ „თურქო-ოჩაგი“-ში ოთხშაბათს, 31 მარტს. წარმოდგენილი იქნება „სტუმარ-მასპინძლობა“ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“.

მისტ. ოლ. უორდროპის განცხადება

გაზეთებმა ამ დღეებში გამოაქვეყნეს ბრიტანეთის უმაღლეს კომისარის მისტ. ოლ. უორდროპის განცხადება, რომელშიც იგი უარყოფდა იმ სიტყვებს, რომელნიც მას მიაწერეს პროფ. კავშირთა დელეგაციასთან საუბარის გამო.

ამ ჟამად ჩვენ ვათავსებთ მისტერ უორდროპის წერილს, რომლითაც მან მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს ამ საკითხის გამო!

მის აღმატებულებას ბ-ნ ევ. გეგეჭკორს. საგარეო საქმეთა მინისტრს!

თქვენო აღმატებულებავ! თქვენც მოგეხსენებათ, რომ არა ერთხელ ვიყავ წინააღმდეგი პრესაში იმ განცხადებათა გამოქვეყნების, რომელნიც თითქოს ჩემსგან გამომდინარეობდნენ, თუ კი ამ განცხადებათა გამოსაქვეყნებლად ჩემი წინასწარი ნებართვა არ იქნებოდა და როგორც მე გავიგე, თქვენი აღმატებულება, დამჰირდა ზომების მიღებას ასეთ შემთხვევებს აღსაკვეთად.

ჩემთვის სრულიად შეუძლებელია ყველა ამ განცხადებათა უარყოფა, მაგრამ მე მსურს შეგატყობინოთ, რომ მათი პუბლიკაცია არასოდეს არ ხდება სწორედ და, ხანდახან განზრახ შეჰყავთ საზოგადოება შეცდომაში.

თბილისის გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ის პასუხი, რომელსაც მე მაწერენ, თითქოს მე მიმეცეს იგი პროფესიონალ კავშირთა დეპუტაციისადმი ბ-ნ ხელაძის მეთაურობით მარტის 19-ს. ეს ცნობები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და არც ერთი არ ეთანხმება სიმართლეს. ასეთ პირობებში მე საჭიროდ ვსთვლი ამასთანავე წარმოგიდგენოთ ჩემ შენიშვნათა კონსპექტის ასლი, რომელიც დეპუტაციის წასვლისთანავე შევადგინე და რომლის სისწორეში დამეთანხმება დეპუტაცია და ბ-ნ ვ. ღამბაშიძე, რომელიც ჩემს პასუხს დაესწრო. მე არავითარი დაბირება არ მიმიცია და არც რაიმე მხრით, გენ. კოკ-კოლასის მოქმედება არ განმიხილავს რომლის წინააღმდეგ მიმართულია უსიფუძვლო და ბოროტი ბრალდებანი, რის გამო ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ. მიიღეთ და სხ.“

ო. უორდროპი.

პასუხი, რომელიც მისტ. ოლ. უორდროპმა გასცა დეპუტაციას ბ-ნ ა. ხელაძის მეთაურობით მარტის 19

მივიღე რა დეპუტაცია, რომელმაც გადმომცა მე რეზოლიუცია და მოვისმინე რა მათი გრძელი სიტყვა მე შემდეგი ვსთქვი:

ა) მე სისწორით გაცნობილი არა ვარ მის უდიდესებულების მთავრობისა და უმაღლეს საბჭოს პოლიტიკასთან რადგან დეპეშები ლონდონიდან გზაზედ 6 სა და 8 კვირით იგვიანებს როგორც დაემართა ორ დეპეშას, რომელიც მე გუშინ მივიღე ყველაფერი ის, რის თქმაც მე შეშიძლია ეს ისაა, რომ თებერვლის 29-ს მე შევატყობინე საქართველოს მთავრობას ბოლოო შეთანხმებამდე ბათომი, ბრიტანეთის საფრანგეთისა და იტალიის ჯარებისგან შემდგარმა გარნიზონმა უნდა დაიკავოს და მგონია ეს მოსალოციც იყო. მთავრობა დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილება სამართლიანი ექნებოდა, და თუ მათ რაიმე საბაბი ექნებოდათ უკმაყოფილებისათვის შეუძლიათ ერთა ლიგას მიმართონ დაკმაყოფილებისათვის.

ბ) თუ დაუჯერებთ საფრანგეთისა და იტალიის მისიების მიერ საქართველოს მთავრობისადმი გადმოცემულ ცნობებს, რომ ბათომი უნდა იქნეს თავისუფალ ქალაქად ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ, მე ამაში ვერ ვხედავდი ქართველი ერისათვის უკმაყოფილების მიზეზს, რომელიც, წინაალმდეგ, ასეთ გადაწყვეტილებით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რადგან ბათომი იქნებოდა ისეთ პრივილეგიურ მდგომარეობაში, რომელიც საქართველოსაც ევროპას უშუალოდ დაუახლოვებს.

გ) ცხადია, ტერმინის „პორტო-ფრანკოს“ რაც ყალბი ვაგება არსებობს, რომელიც ამ ტერმინში ფიზიკალურს და არა პოლიტიკურ მნიშვნელობას გულისხმობს. თეორიაში არაფერია იმის მზგავსი, რომელიც შეუძლებლად ხდიდეს, რომ ერთა ლიგამ ბათომზე მანდატი საქართველოს გადასცეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ დეპუტაცია დაამოწმებს, რომ ქალაქისა და ოლქის მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას სურს საქართველოს პოლიტიკურ ნაწილად დარჩენა. ბათომი თავისუფალ პორტად რამდენიმე ხნით 1878 წლამდისაც იყო.

დ) პრესის ბოროტ-განზრახვითი ცნობები იმის შესახებ, თითქოს აზერბაიჯანი და სომხეთი საიდუმლო დიპლომატიას აწარმოებდნენ ჩემთან საქართველოს კანონიერ ინტერესების წინააღმდეგ სიცრუეა:

სომხეთი და აზერბაიჯანი სამართლიანად მოითხოვდნენ, რომ საბოლოო გადაწყვეტილების დროს მათი ეკონომიური ინტერესები შემდალულნი არ ყოფილიყვნენ, და რამდენადაც მე ვიცი ისინი არ მოითხოვდნენ არავითარ პოლიტიკურ პრივილეგიებს ან ხელის უფლებას, და ისინი ვინც ამაში მათ ბრალს სდებენ, განზრახ ცდილობენ თავიანთ ჰარად ბოროტ განზრახვებისთვის გამოიწვიონ უთანხმოება მეზობელ მოსაზღვრე სახელმწიფოებსა და მოკავშირეთა შორის.

ე) ყოველ აღლვების მიზეზი, ჩემის აზრით, ქართველი ერის მტრების მახინაციაა; მათ სურდა აეღელვებინათ მოსახლეობა, რათა ნაკლები ყურადღება მიექციათ მთავარ-საკითხისთვის რესპუბლიკის დაცვისათვის.

სპარსეთის ქართველები

ქ. თეირანიდან გვწერენ, რომ მთელ სპარსეთში ქართველების მდგომარეობა უკანასკნელ დროს უაღრესად აუტანელი შეიქმნა; ქართველებს არსად არა ჰყავთ თავის უფლებების დამცველი, მთავრობა (განსაკუთრებით ადმინისტრაცია) უმართებულად ავიწროებს ქართველობას, სპარსელები ქართველებს რუსების ქვეშევრდომებად სთვლიან, ბევრმა ქართველმა დევნა შეავიწროებისგან თავდასახწევად სპარსეთის ქვეშევრდომობაც კი მიიღო, საერთო ცნობების მიხედვით ქართველობის რიცხვი მთელ სპარსეთში 100,000 მდე ადის. (კდ.)

ათონის ივერიის მონასტერი

ათონის მთის ივერიელთა მონასტერი პირველად ვნახე 1882. წ. აქ ტაძრის კარის ბჭეზე ეხატა ათამდე მეფე დედოფალი. ერთ დედოფალს ჰქონდა წარწერა ბერძნულად „ნესტარდარეჯან“ მასთან იდგა სამეფო სამოსლით მოსილი ყრმა „ვასილი“. დედოფალზე სახელი არ ეწერა, ძლიერ ოკვირვების შემდეგ ამოვიკითხე საერთო წარწერა ბერძნულად, „ვასილევს-ტონივიროს“. („მეფენი საქართველოსნი“) საშუალ მდგომ მეფეს შარავანდედი ჰქონდა, მის გვერდით იდგა ახოვანი ხხედარმოსავარი ბერძნის ბერის სიტყვით, იგი იყო თორნიკე,

ხოლო სხვანი ივერიის მეფეები.

კარის ბეჭეზე მეფეთა პირისპირ დასავლეთის მხარეზე მაღლა თაღზე დახატულია „წმიდა გრიგორი ამაღე მონასტრის წინამძღვარი ივერიელი“. რომელმაც ბერძნის ბერები გამოაძევა ივერიელთა მონასტრიდან. ტაძრის მეორე განყოფილებაში ქართველთა მამათა ლუსკუმა, ასევენია და გაუქრობელი კანდელი უნთია. „იოანე ეფთიმე და გიორგი აღმაშენებელნი ამავე მონასტრისა ქართველნი“ ზედ ბერძნულად აწერია და სამთავეს უჭირავს გეგმა მონასტრის. წყალტაძარში, გუმბათის თაღზე დასავლეთის მაღლა დახატულია კედელზე სრული ტანით შარავანდედით ტ სამღვდელო შესამოსით რომელსაც ბერძნულად აწერია, მხატვარი წმ. მღ. მონაზონი მარკოზი ქართველი“, დიდ გუმბათის პირდაპირ მოგვიანებ ჩასხმულ თითბერის ლონგინში აწერია ბერძნულად: „მე დავამტკიცენ სვეტნი ამისნი და არა შეიძრას უკუნისამდე აღმაშენებელი გიორგი ივერიელ“ (ქართველი).

ეკეკლ პორტაიატის ტაძარშიც, მომცრო გუმბათიანი ტაძარია, აქ ასვენია პორტაიტისა ან ივერიის ფეოდალმშობლის ხატი ძვირფასად შემკული, ქართული წარწერით: შემამკობელ ყვარყვარის სახელი და სხ. მრავალ ოქრო-ვერცხლის კანდელი უნთია გაუქრობლად. ეემდეგ ვნახე მაცხოვრის ხატი, ვერცხლისა წმიდათა მამათა იოანე, ეფთიმე და გიორგის, რომელთაც უჭირავთ მონასტრის გეგმა და უნთიათ ვერცხლის კანდელი გაუქრობელი, ბერძნული წარწერით: „წმინდანი მამანი იოანე, ეფთიმე და გიორგი აღმაშენებელნი ამავე მონასტრისანი ივერიელნი“.

რამდენიმე წლის შემდეგ მეორედ ვიმგზავრე ათონში და ივერიელთა მონასტერში კარის ბეჭეზე დიდად გამაკვირვა მეფეთა წარწერების ცვლილებამ. საერთოდ დაწერათ ბერძნულად: „მეფენი ვიზანტიისა და აღმაშენებელნი ამავე მონასტრისა“, და თითეულს ბერძნულად სახელწოდებები წაეწერათ, ნესტან დარეჯანის სურათზე ეწერა— „ირინე დედოფალი“, და შარავანდედით მოსილ მეფეზე „დიდი კონსტანტინე“, შის გვერდით მდგომ თორნიკეზე—იოანე ციმიკი კონსტანტინეპოლის მეფე. ამ დროს შემთხვევით შეეხვდი განსვენებულ დ. ბაქრაძეს, ყველაფერი უამბე და დიდათ შეწუხდა.

სიტყვარზე და სიტყვებზე

ვ. სიტყვარზე (იხ. № 58 და 60).

ბევრსა ჰგონია, რომ ცოცხალ ენებში და კილოკავებში ხმარებულ სიტყვების და ძველ ნაწერებში ნახმარ ფორმების სიტყვართა შედგენა და გარჩევა ერთგვარ და ერთ თანრიგის (კატეგორიის) საქმეს წარმოადგენს მეცნიერულ სახელსახების შეშუშავებასთან და დაფასებასთან. ეს ღრმა შეცდომაა: ცხოვრებაში ან სიტყვა-კაზმულში ხმარებულ სიტყვებს თითოეულს მხოლოდ თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს, რის გამო მათი განბილვა, დაფასება ან შეცვლა შესწორება ყოველის ცალ-ცალკე და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიძლება; მეცნიერებაში კი ამის სრულ წინააღმდეგობასა აქვს ადგილი; სამეცნიერო სახელსახნი, თუ ისინი წინა საუკუნეების ნაშთებს არ წარმოადგენენ და ცოდნის დღევანდელ მოთხოვნილებასაკმაყოფილებენ, მჭიდროდ და განურღვევლად არიან ერთმანეთთან გადამბული და ყოველი მათგანი თანშედეგულებულ უჯრედს შეადგენს დასახელების ერთ მთლიან და თანმიმდევრულ (სისტემატიურ) ქსელისა. ამგვარ სახელსახის დანარჩენებისგან დამოუკიდებლად გარჩევა, დაფასება ან შეცვლა ყოველად არა მეცნიერულია და შეუძლებელია: ამითი მთელი ქსელი ზიანდება და შეუსწორებელი ხდება, რადგან თავის საკუთარ ცნების გამოხატვის ან აღნიშვნის გარდა ყოველი მეცნიერული სახელსახი ერთსა და იმავე დროს უნდა ყველა თანაგვარ ცნებებთან ანალოგიას ჰბადავდეს, მონათესავეებისაგან კარგად ფიოდ გამოსარჩევ განსხვავებას იძლეოდეს. ქიმიას, ფიზიკას და სხვ. რთულ დარგებსაც რომ არ შევეხოთ რომელნიც ზემოხსენებული აზრის ცოცხალ დასურათებას წარმოადგენენ, ეს გარემოება სულ უბრალო მაგალითითაც ცხადი ხდება: **вдыханіе**-ს ჩვენს ძველ ან ახალ ყოველდღიურ ენაში შეიძლება ათზე გაცილებით მეტი თანასწორუფლებიანი ტოლფასი (ეკვივალენტი) ამოერჩეს: შეწოვა, შეწოვნა, ჩაწოვა, შესრუტვა, ჩასრუტნა, შეწბა ან შეწბობა, ჩაწრუტვა თუ შეწრეტა, ჩაწურვა შიანთქმა, ჩაყონა, შეყონვა, ჩაყვნა (იმერ.) და სხ. და სხვ. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს სახელები ენის კანონებს არ ალღვევდნენ. ბუნებგნობისთვის კი ეს მეტადენელია, რადგან მისთვის შეუძლებელია всасываніе-სთვის სწორ, მეცნიერულად სავსებით მკაფიო და ამ მცნებისთვის ერთ სპეციალურ სახელის ამორჩევა დამოუკიდებლად დანარჩენ შვიდ მონათესავ ცნებისა: вдыханіе просачиваніе, поглощеніе, окклюзія фильтрація, диффундированіе და осмосъ. ამ რვა ცნებას უნდა ერთად ამოერჩეს და გაუნაწილდეს ფესვები, წინსართები და სახელები, რომ ყოველს მათგანს ღწერილი (точнѣйшее) სახელსახი ეთგოს; შეიძლება ამის გამო რომელიმე ცნებას ფორმის მხრივ ნაკლებად მოხდენილი სახელი შეხვდეს, მაგრამ აქ გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა სიტყვის შინაგან მხარეს და მეტადრე შინაგან თანწყობრიობას, ე. ი. დანარჩენ ცნებათა გადებმას და ერთიანობასა აქვს, ვიდრე სიტყვის გარეგან მხარეს.

ჩვენი ეგრე წოდებული ღწერი ცოდნა („точное знаніе“) დიდი ხანია ინდოეთმდის ამაღლებულია, რომელზედაც სიტყვა ეთორჩილება აზოს და არა აზრი—სიტყვის ფორმას; ევროპაში და მეტადრე ამერიკაში ეს დიდი ხანია ასეა. მათემატიკის და ცდა-დაკვირვების მაღლით, თითქმის სავსებით ფორმულებზე და სიმბოლიურ (ცნების გამომსახ, საყოველთო (პოპულიარული) ტერმინოლოგიის გამწყვრივ) „ზე-სახელსახებზე“ გადასული ღწერი მეცნიერება ისეთ შეუჩერებლივ დასწრაფწინავლას დაადგა, თავის მეთმეშეუდების პროცესის გაადვილების გამო.) რომ ენის ბუნებრივი, ნელ-ნელი, თანდათანითი ზოდა და ენისგნობის ჯერ კიდევ შინამრეწველურად მოპოვებული დებულებანი მას ველარც ეწევიან, ვერც აკმაყოფილებენ. მას თითქმის ყოველ დღე ახალი ფესვები და ენის ახალი ფორმები ესაჭიროება თავის ალმოჩენების ყველასთვის გასაზიარებლად, და რაც უმთავრესია, ამ ახალ ფორმების და ფესვების შექმნის **ახალი ხერხები და წესები.** მაგალითად, ქიმიამ ერთი შესანიშნავი ხერხი შემოიღო: სიმბოლიურ ასოების ჩაყენება თავის ჩვეულებრივ სიტყვების ხან ფესვში, ხან დაბოლოებაში; **amid** (amფესვია) **imid** (a—ორკერ მეტს წყალბადს ნიშნავს, ვიდრე i); **ferrium** (რკინ) **ferro** (**закисное ж.**) **ferri** (**окисное ж.**); (i მეტალის წესიერ, ნორმალურ „ვალენტობას“ სახავს, o-კი ნაკლებსა); **sulfat sulfit** (a მეტს ჟანგბადს ნიშნავს, ვიდრე i) და სხ. და სხ.

ენის ამგვარი შეცვლა, გამდიდრება და რაც უმთავრესი და უაღრესია—მისი ამნაირი **გაღწურება** (уточненіе) არამც თუ მხოლოდ ჩვეულებრივ, ე. ი. ენაში უკვე შემოსულის დამაკანონებელ გრამატიკას ასწრებს წინ, მას ვ ღარც ისტორიული გრამატიკა ეწევ, რომელიც ენის თავისებურობებს და ვითომდა „წეს ვარეშე“ ფორმებს აკვლევს და აშუქებს და რომელიც, მაშასადამე, ბევრად უფრო ფართოვალთხეევით ითვალისწინებს ენას და მის საერთო ხასიათს. **ღლევანდელ** მეცნიერულ ენის შესასწავლად, მოსაწესრიგებლად და სწორ თანწყობრივ ზრდის მტკიცე ნიადაგზე დასაყენებლად, აგრეთვე როგორც მისგან ენაში აღმოტანილის გამოსარგებლად და გამოსაყენებლად საჭიროა ენის გნობას ახალი შტოს გაუჩნდეს—ყველა ენების საერთო ტერმინეფიკა, რომელიც შედარებით ენათგნობის (сравнительное языкознаніе-ს) დაკურნობა, ლექსთა წყობის (метрика-სავით) უკვე არსებული კვლევით და შესწავლით მომავალ შემოქმედების გამაადვილებელ ხალ გზებს გვიჩვენებს და რომელიც ყოველ ქვეყანაში ადგილობრივ კილოკავეების კვლევას—„დიალექტოლოგიას„ ამოუდგება გვერდში.

ხალხი და მწერლობა ან თითოეულ პირის შემთხვევითი აღმოფრენით ან საუკუნეებით წარმოებულ ნელ ნელ ბუნებრივ ვითარებით ზრდიან და ამდიდრებენ მშობლურ ენას, მეცნიერება კი **აღწურებს,** ავაქვაცებს და აღუნადებს (**делает гибче**) მას ხელოვნურად, თანწყობრივ და ძალ შეერთებულ თანამშრომ შემოქმედებით ბუნებრივ ზრდაზე შეუდარებლივ უფრო ჩქარ „ტემპით“ და გაცილებით უფრო საგრძნობ და მნიშვნელოვან კერძებით. ენის მეცნიერება მას ამაში ველარც ბრძანებებს აძლევს ველარც ხელმძღვანელობას უწევს, დღეს ღწერი მეცნიერება სცვლის და ამდიდრებს ენას, ე. ი. დღეს ენა მისდევს აჩქარებულად (ცოდნის და ქმოსნობის (ტექნიკის) ზრდას და არა მეცნიერება ემორჩილება მის ნელ წინმძვრას, როგორც ეს საშუალო საუკუნეებში იყო გაბატონებული.

სამწუხაროდ ჩვენ სრულიად არ გაკვირდებით მას, რაც ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებში ხდება და ასავლეთის ყოველივე მეცნიერული შეძენა უკვლევად და ყოველად უკრიტიკოთ, უცვლელად გადმოიღები გვგონია, მხოლოდ იმიტომ რომ „ევროპაში ეს ასეა“; ჩვენში კი ყოველი არსებითად იმგვარივე, მაგრამ ეროვნულ პირობებში ჩაყენებული და ხშირად დასავლეთისვე აზრების მიხედვით შესწორებული ახალი ნაბიჯი „უდავოდ მაფლებელ“, „სრულ უვიცობით გამოწვეულ“ და „მთელი ერისთვის მავნებელ“ მოქმედებათ გვეჩვენება. მაგალითად ზოგს ჩვენს გრამატიკოს და ისტორიკოს „შეუწყნარებლად“ მიაჩნია, რომ „ტრადიციულ და ნამდვილ ქართულ სახელს—„სითბოს ტევნილობას“ ასე მარბარისულად შემოკლებული სახელსახი თბოტევნა დაერქვასო“. „სი-ს ჩამოშორება „ქართული ენის აგებობის სრულ უცოდინარობას ამტკიცებსო“. ან კიდევ: როგორ იქნება წეხვიდან (прессованіе) ასო ხ-ს ფესვიდან ამოგდებით ახალ ფესვის და სიტყვის შექმნაო-წნევა давленіе. რა უშავს, რომ ეს წნევა, აწნევს, ზეაწნევს და სხ.. მისი ნაწარმოები ასეთ მოულოდნელ და ძირითად ხსნას წარმოადგენს ჩვენში მეხანიკისთვის, ფიზიკისთვის, ქიმიისთვის და მთელ ტექნიკისთვისო, და რა უშავს, რომ ეს ახალი სიტყვა пресованіе-ს (pressage) და давленіе-ს (pression) ასე მჭიდროდაც ახლოვებს ერთმანეთთან, ასე მკაფიოდ და მახვილადაც არჩევს ერთმანეთისგანო. ფესვის ამგვარი შემოკლება „გრამატიკას ეწინააღმდეგებაო“, და ამიტომ ისევ წინანდელი ტრადიციული „წოლა“, „უკუღმა წოლა“ და „ზეიდან ან ქვეიდან აწვენა“ უნდა დარჩესო.

ამგვარი თვალ-საზრისი ღწერ მეცნიერების დღევანდელ მდგომარეობის სრულ შეუგნებლობით და ყურადღებაში მიუღებლობით არის გამოწვეული. მოწინავე დასავლეთი კი სულ სხვა სურათს გვაყენებს წინ. იქ ყოველად დამჭირდა „სედია მილეთის“ ჯგუფ დიდძალი მონაცემ აზერბაიჯანისა, როცა თითეულ წევრს დაუნიშნა თვიურათ ზოგს 30 ათასი, ზოგს 40 და ზოგსაც მეტი აზერბაიჯანის მონები და სამაგიეროთ მოითხოვა მისგან პროპაგანდა აგიტაციის გაწევა ბათომის ოლქისაგან ცალკე სახელმწიფოს გამოსაყენებელად, — „სედაი მილეთის“ ჯგუფმა უკუაგდო ოსმალეთთან შეერთების აგიტაცია და ხელი მიჰყო იმის ქადაგებას, რომ ბათომის ოლქისაგან შეიქნეს ცალკე სახელმწიფო, ის გახლავთ ფაქტი, ე. ი. ეს არის საქმე აზერბაიჯანის და მისი აგენტებისა.

მეორე ფაქტი გახლავთ შემდეგი: იმავე აზერბაიჯანის პარლამენტის წევრმა ახმედ ჰამდი-ეფენდიმ შეადგინა რეზოლიუციის პროექტი და დაავალა მის მიერ აზერბაიჯანის ფულებით მოსყიდულ პირებს, რათა რეზოლიუციის პროექტზე ხალხს ხელი მოეწერა- ამ პროექტით აზერბაიჯანის აგენტი ჰამდი ეფენდი მოითხოვდა, რომ ბათომის ოლქისაგან შემქმნილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო და ახლავე არჩეული ყოფილიყო აბარისტანის პარლამენტი.

მესამე ფაქტი: ადერბაიჯანის პარლამენტის წევრმა, აზერბაიჯანის მთავრობის აგენტმა იმავე ემდი-ეფენდიმ დენიკინელების გაზეთ „ნაშ კრაიში“ ჩვენი გაზეთის საპასუხოთ მოთავსა წერილი, რომლითაც განაცხადა, რომ ის, ბ-ნი ჰამდი-ეფენდი, მუშაობს იმისთვის, რომ აბარისტანიდან შეიქმნეს სუვერენული სახელმწიფო. ეს წერილი თქმა არ უნდა, თუ ბ-ნ ეფენდიევის კარნახით არ იყო დაწერილი, ყოველ შემთხვევაში, ბ-ნ ეფენდიევს წაკითხული მაინც ექნება.

ასეთია ფაქტები. ამ ფაქტებს უნდა დაემატოს კიდევ შემდეგი მეტად საგულისხმიერო ფაქტი, რომელიც ათეულ ჰფენს ბ-ნ ეფენდიევის მიღვაწეობას და მისწრაფებას:

მკითხველებს მოეხსენებათ ის უბედურება, რაც თავს დაატეხა ახალციხის ქართველ მუსლიმანებს სერვერ ბეგის ავანტიურამ, ჰქონდა თუ არა რიმი დამოკიდებულება სერვერ-ბეგის ავანტიურისთან ბ ნ ეფენდიევს და ეს მოავრობას? ამაზე პასუხს იძლევა ის წერილი, რომელიც სერვერ ბეგმა მისწერა თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს. ეს წერილი ხელთ ჩაუვარდა ჩვენ რედაქციას და ის თავის დროზე გამოქვეყნებული იყო ჩვენ ფურცლებზე. სერვერ-ბეგი სწერდა თემურბეგ ხიმშიაშვილს: ამოირჩიეთ დელეგატები, რომლებიც უნდა გაგზავნოთ სტამბულში. დელეგატებმა აუცილებლათ ბათუმში უნდა ინახულონ მახმუდ-ბეგი (ეფენდიევი). თითო დელეგატისაგან აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გადადებულია სამასი ათასი მანეთი.

ასე სწერდა სერვერ-ბეგი თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს. აქედან მკითხველი ნათლათ დაინახავს: ქონდა თუ არა ახალციხის აჯანყებასთან კავშირი აზერბაიჯანის მთავრობას და ამ მთავრობის კონსულს ბათომში ბ-ნ ეფენდიევს.

ჩვენ ხელთ არის სხვა ფაქტებიც, რომლებიც ააშკარავებენ აზერბაიჯანისა და მისი აგენტების მოქმედებას სამუდამო საქართველოში, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლათ, რომ აზერბაიჯანის მთავრობა და მისი საკონსულო ბათომში სიტყვით საქართველოს მთავრობას ძმობა ერთობას ეფიციალიან, საქმით კი დანას ლესავენ ჩვენს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ.

რედაქტორი
„საქართველო“ კოლეგია“
გამომცემელი თბ. ვაჟ.-მრ. კომიტეტი

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

მედიცინის დოქტორი
მ. ა. ახვერდოვი
პეტროგრადის ვენერიული კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს ავადმყოფებს **სპეციალურად ვენერიულის.** ხიფილიხის, **კანის ავადმყოფებიანი,** დილით 10 12 საათამდე, საღამოს 5—7 ნახ. საათ. ახალ ბინაზე **მიხვილის ქუ. № 7 ვორონცოვის ძეგლთან.** შესავალი **ეკლესიის ჭუჩის კუთხიდან.**

აზერბაიჯანის მუშაობა ბათუმის ოლქში

გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“ მარტის 25-ის № ში შემდეგ საყურადღებო ცნობებს აქვეყნებს აზერბაიჯანის აგენტების მუშაობის შესახებ ბათომში;

აზერბაიჯანის კონსულმა ბათუმში ბ-მა ეფენდიევმა ჩვენი გაზეთის თათრულ განყოფილებაში მოათავსა წერილი, რომლითაც ის აცხადებს, რომ აზერბაიჯანის მთავრობა ბათუმის ოლქის შესახებ არავითარ კამპანიას არ მწევდა, რომ აზერბაიჯანი სრულიად არ არის დაინტერესებული ბათუმის ოლქის საკითხში, რომ თითქო არც აზერბაიჯანის მთავრობა და არც აზერბაიჯანის საკონსულო ბათუმში არავის არ ურიგებს ფულს ბათუმში და ოლქში აზერბაიჯანის სასარგებლო აგიტაციის გასაწევათ და თითქოს რასაც ჩვენი გაზეთი სწერს ამის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება. გაზეთი ურევს ერთმანეთში ოლქისა და ბათუმის პორტის საკითხსო,—სწერს ბ-ნი ეფენდიევი. ეს წერილი ბ-ნი ეფენდიევს საჭიროთ დაუნახავს მოეთავსებინა გაზეთ „ნაშ კრაიშიც“. ჩვენ კარგა ხანია ვიცით, რომ როგორც ბ-ნ ეფენდიევს, ისე აზერბაიჯანის მთავრობის სხვა აგენტების სიტყვა და საქმე ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. მათი სიტყვა სხვაა, საქმე კიდევ სხვა. სიტყვით ბ-ნი ეფენდიევი და ძმანი მათნი აცხადებენ, რომ საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ ისინი აგიტაციას არ ეწევიან, მათი საქმე კი სულ წინააღმდეგს ამტკიცებს.

„საქმე კი მდგომარეობს შემდეგში: აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი ახმედ ჰამდი-ეფენდი აზერბაიჯანის მთავრობის მიერ გამოგზავნილ იქნა აქ აზერბაიჯანის სასარგებლო აგიტაციის პროპაგანდის გასაწევათ. ვაგზლიდან პირდაპირ ბ-ნი ახმედ ჰამდი-ეფენდი ბ-ნ ეფენდიევთან გაემგზავრა. საჭიროა გარემოების შემდეგ ახმედ-ჰამდი წაბრძანდა „სედაი მილეთის“ კომიტეტში, გააკითა იქ მოხსენება და მოუწოდა დამსწრეთ გაეჩაღებინათ ოლქში საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაცია და მოეთხოვათ, რომ ბათომის ოლქისაგან გამოჭრილიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჰამდი-ეფენდის ჩამოსვლამდე „სედაი მილეთის“ ჯგუფი აწარმოებდა აგიტაციას ბათომის ოლქის ოსმალეთთან შეერთების შესახებ როცა ჰამდი-ეფენდიმ განუმარტა ამ ჯგუფს, რომ ხალიფატი ცალიერ სიტყვათ გადაიქცეო, როცა ის დაამტკიცა, რომ ჩვენ ღირსნი ვართ საბელისა, ღირსი ვართ ისტორიაში ქებით ხსენებისა.

ფიქრისა ადამიანია ის, ვინც ასეთ დროს მომავალზე არა ფიქრობს. განახლებულ საქართველოს განახლებული გორი ესაჭიროება.

გორი უნდა განახლდეს, გორი უნდა აღსდგეს.

რითი?

ჩვენი დახმარებით, ჩვენის თანაგრძნობით.

ღირსეულ ადამიანს სიკეთის ქმნა არასოდეს არ უნდა მოსჭარბდეს.

ბ-ბ ქალაქენო! დაუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენ ღირსეული ადამიანები ვართ.

ნუ მოგწყენდებათ დახმარება, ნუ მოგწყენდებათ გორელებისათვის თქვენი წყალილის გაღება.

დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.

ეროვნული

მოწოდება გორისთვის

მოქალაქენო! ბათომის საკითხმა დაჩრდილა, დაჭარა დროებით ჩვენი ცხოვრების სხვა საკითხები: ბათუმის ბედმა დაგვიწყა სხვა ყოველივე.

ამაში დიდი შეგნება ჩვენი ბალხისა; მაგრამ გორსა და გორის. სოფლებს—მიწისძვრისაგან გაოხრებულ და გაჰარტახებულს—ნუ დავიწყებთ გორის აღდგენას, განადგურებული სოფლების აშენებას გვავალებს ისტორია.

მეტად იშვიათი, არჩევულებრივი დიად დროში ვცხოვრობთ. ჩვენს ცხოვრებას და მოქმედებას ისტორია ალბეჭდავს თავის ფურცლებზე.

ვაი ჩვენი ბრალი, თუ ისტორიამ ჩვენ ასეთი განაჩენი გამოგვიტანა: დროისშესაფერისნი, მოშენტის ღირსნი ვერ გამოდგენ ნი.

მოქალაქენო! ჩვენს ხელთ არის დამტკიცოთ, რომ ჩვენ ღირსნი ვართ საბელისა, ღირსი ვართ ისტორიაში ქებით ხსენებისა.

ფიქრისა ადამიანია ის, ვინც ასეთ დროს მომავალზე არა ფიქრობს. განახლებულ საქართველოს განახლებული გორი ესაჭიროება.

გორი უნდა განახლდეს, გორი უნდა აღსდგეს.

რითი?

ჩვენი დახმარებით, ჩვენის თანაგრძნობით.

ღირსეულ ადამიანს სიკეთის ქმნა არასოდეს არ უნდა მოსჭარბდეს.

ბ-ბ ქალაქენო! დაუმტკიცოთ ყველას, რომ ჩვენ ღირსეული ადამიანები ვართ.

ნუ მოგწყენდებათ დახმარება, ნუ მოგწყენდებათ გორელებისათვის თქვენი წყალილის გაღება.

დაზარალებულთა დამხმარე მთავარი ბიურო.